საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას
საბჭოს თავჯდომარეს
მოქალაქეთა ჯგუფის

განცხადება

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა (მიუთითეთ არის თუ არ ის ქარტიის ხელმომწერი) დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის დებულებ(ებ)ი. მოგმართავთ, რათა ქარტიის შიდამარეგლამენტირებელი დოკუმენტებით დადგენილი წესით შესწავლილ/განხილულ იქნას დარღვევის ფაქტი, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ქარტიის წევრის ან არაწევრი ჟურნალისტის/რედაქტორის პერსონალური/პროფესიული მონაცემები, რომელმაც შესაძლოა დაარღვია ქარტიის დებულებით აღიარებული ჟურნალისტური ეთიკის ნორმები:

გადაცემის წამყვანები - ირაკლი ხრიკაძე, გიორგი მასხარაშვილი, გიორგი ასანიშვილი და ვახო გეგლია; გადაცემა - ოთხი ელემენტი; სატელევიზიო არხი - მაესტრო

კონკრეტული ფაქტების/გარემოებების მითითება, რაც განმცხადებლის აზრით,
ადასტურებს ჟურნალისტის/რედაქტორის მიერ ქარტიის დებულების დარღვევას

მოგახსენებთ, რომ 2014 წლის 15 მაისს, არხზე "მაესტრო" გავიდა გადაცემა "ოთხი ელემენტი". იგი, სხვა თემასთან ერთად, მეორე ბლოკში განიხილავდა თემას "ოჯახში ძალადობა". ამასთან დაკავშირებით, სტუდიაში მყოფ 4 წამყვანთან ერთად დაგეგმილი

იყო დისკუსია 3 მოწვეულ სტუმრთან (იდა ბახტურიძე, ნატო შავლაყაძე და ნანა ნებიერიძე).
აღნიშნული გადაცემის ფორმატი, რომელიც თავისი შინაარსით გულისხმობს გადაცემისთვის შერჩეული თემის განხილვასა და გაანალიზებას, წარიმართა სრულიად მოულოდნელი ფორმით. იმის ნაცვლად, რომ გადაცემის წამყვანებს მოწვეული სტუმრებისგან, ანუ ექსპერტებისგან ვინც უკვე რამდენიმე წელია მუშაობს ოჯახში ძალადობის თემაზე, მათ შორის აკადემიურ სივრცეში, მოესმინათ აღნიშნული საკითხის შესახებ უახლესი მიდგომები და შემდგომ ემსჯელათ, მათ ფაქტობრივად ჩაშალეს დისკუსია.

ა) გადაცემის წამყვანები ავლენდნენ არაადეკვატურ განწყობებსა და დამოკიდებულებებს ზოგადად ოჯახში ძალადობის მიმართ. კონკრეტულად კი, ქალთა მიმართ ფიზიკური და ემოციური ძალადობის მიმართ, რაც გამოიხატებოდა აღნიშნულ თემაზე ცინიკური კომენტარებისა და ემოციური რეაქციების გამოვლენით. აღნიშნული ცალსახად ასახავდა მათ გარკვეულ პიროვნულ განწყობებს ამ თემის მიმართ, რაც თავს არ მალავდა პროფესიულ დისკურსში. ემოციური რეაქციები და, ხშირად დამამცირებელი კომენტარები ხელს უშლიდა მოწვეულ სტუმრებს სრულად გამოეთქვათ თავიანთი აზრი. მათ ხშირად აწყვეტინებდნენ და არ აძლევდნენ აზრის დასრულების საშუალებას წამყვანები.

ბ. გადაცემის წამყვანები მთელი გადაცემის განმავლობაში გამოთქვამდნენ სქესის ნიადაგზე დისკრიმინაციული დამოკიდებულების შემცველ ფრაზებს, კერძოდ:

45:45 "შესანიშნავი ქართული ტრადიციაა - ქალი სამზარეულოში. აი, ამაზე ვისაუბრებთ შემდეგ ბლოკში";

50:54 "არა, ბავშვებს კარგად თუ ვერ მოუარა, [ქალისთვის] კაი შენიშვნაა მისაცემი"

54:39 "მე მაქვს ნანახი - ბავშვს სცემდა... ნუ ტირიხარო და კიდევ ურტყამდა... ეგეთ ქალზე უნდა იძალადო, აბა რა უნდა ქნა!".

58:22 (მსჯელობა ეხება ქალს საჭესთან) "არ გეწყინოთ, მაგრამ ზოგადად არსებობს ეგეთი გაგებაც, რომ რაღაც უნარები აქვს ქალს, რაღაც უნარები არ აქვს კაცს - მაგალითად, დედობრივი ინსტიქტი... ან რომ კაცები უფრ მაგარი სპორტსმენები არიან და ეგეთი რაღაცეები. თქვენ თუ ამას გენდერულ ბალანსში ჩათვლით, ეგ თქვენი საქმეა, მაგრამ ეს არ არის ეგ თემა მემგონი, ჩვეულებრივი მოვლენაა. უნარებს დიდი მნიშვნელობა აქვს და რასაც მე ვისწავლი, იმას თქვენ ვერ ისწავლით, მაგალითად,

სპორტში. მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ არ გაქვთ ამის უნარი, ამის მენტალური შესაძლებლობა".

გ. ექსპერტების მიერ გამოთქმულ მტკიცებულებებზე-დაფუძნებულ მოსაზრებების ნიველირებას ქალების საზოგადოებაში დისკრიმინაციული მდგომარეობის შესახებ, წამყვანები ახდენდნენ დაუსაბუთებელი, არარელევანტური და პოპულარულ სტერეოტიპებზე დაყრდნობილი შეხედულებებით. მაგალითად, ქალის ორმაგი შრომისა და ტვირთის შესახებ მოსაზრებას, რაც უკვე აღიარებულია განვითარებული ქვეყნების სივრცეში, ერთ-ერთმა წამყავნმა დაუპირისპირა შემდეგი შეხედულება: 1:09 "როგორ უყენებთ ამას ნაკლად მამას, თუკი მას უწევს წავიდეს ინადიროს და მოიტანოს სახლში ნადავლი, შესაბამისად ნაკლებად უწევს ბავშვთან ურთიერთობა და ეს კაცს ნაკლად როგორ ეთვლება?!".

განმცხადებლის პირადი მოსაზრება/განმარტება თუ რატომ მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა ჟურნალისტის/რედაქტორი მიერ ქარტიის დებულების დარღვევას

აღნიშნული ქმედებები და გამონათქვამები, განმცხადებლების მოსაზრებით არღვევს ჟურნალისური ეთიკის ქარტიის მე-7 მუხლს, რომლის თანახმადაც:

" ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით".

გენდერულ სტერეოტიპს, ევროპის საბჭოს კვლევის თანახმად წარმოადგენს: წინასწარ დადგენილი შეხედულება, რომლის მიხედვითაც ქალებსა და კაცებს შერჩევითად და ტენდენციურად მიანიჭებენ ისეთ მახასიათებლებსა და როლებს, რაც ლიმიტირებულია ბიოლოგიური სქესით. ამგვარი მინიჭება ზღუდავს მათი რეალური შესაძლებლობების განვითარებას, და მათ ცხოვრებისეულ შანსებს.

გაერთიანებული ერების ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია მიუთითებს, რომ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის აუცილებელი პირობაა, ქალების შესახებ სტერეოტიპული და დისკრიმინაციული შეხედულებების დაძლევა,

რომელიც შესაძლებელია განპირობებული იყოს ქვეყნის სოციალური და კულტურალური ისტორიით.

ამავე კონვენციის მე-2 მუხლის ,,ფ" ქვეპუნქტი კი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, მიიღონ ყველა საჭირო ზომა, მათ შორის საკანონმდებლო, იმ მოქმედი კანონების, დადგენილებების, ადათ – წესების და პრაქტიკის შესაცვლელად ან გასაუქმებლად, რომლებითაც დაშვებულია ქალთა დისკრიმინაცია.

კონვეციის მე-5 მუხლის თანახმად მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო ზომას იღებენ, რათა:

ა) შეცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენების აღმოფხვრისა და იმ ადათ-წესების და სხვა პრაქტიკის გაუქმების მიზნით, რომლებსაც საფუძვლად უძევს ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ან მამაკაცთა და ქალთა სტერეოტიპულობას იდეა;

ბ) უზრუნველყონ, რომ ოჯახური აღზრდა შეიცავდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორ გაგებას და მამაკაცთა და ქალთა საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას თავიანთი შვილების აღზრდისა და განვითარებისათვის იმ პირობით, რომ ყველა შემთხვევაში უმთავრესია ბავშვთა ინტერესები. სქესის ნიშნით დისკრიმინაციული გამონათქვამები, სწორედ ეფუძნება ისეთ მოსაზრებებს, რომლებიც არარელევანტურად და ობიექტური საფუძვლებიდან მოწყვეტილად ამართლებს რომელიმე სქესის უპირატეს როლს, მეორე სქესზე დომინაციას და ძალადობას, როგორც უკიდურეს გამოხატულებას.

ადამიანის უფლებებისა დ ათავისუფლებების ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი, ასევე მე-12 ოქმი, გვთავაზობს დისკრიმინაციის ფართე განმარტებას, რომელიც მოიცავს, როგორც პირდაპირ და უშუალო დისკრიმინაციის ფორმებს, ასევე დისკრიმინაციისკენ მოწოდებასა და შევიწროვებას. აღნიშნულის საფრთხე, შესაძლოა ასევე გამოვლნდეს, დისკრიმინაციული მოსაზრებების ფართედ ტირაჟირებაში, რაც წაახალისებს სხვათა დისკრიმინაციულ და ძალადობრივ ქცევას ქალების მიმართ.

საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ განსაზღვრვს გენდერული თანასწორობის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საფუძლებს, აღნიშული პასუხისმგებლობა ეკისრება ნებისმიერ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს. კერძოდ (მუხლი 19) ,,სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირები, ასევე კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები და სხვა პირები,

რომლებიც დაარღვევენ ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას, პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მას-მედია, როგორც გენდერული სტერეოტიპების დაძლევის უმნიშნელოვანესი საშუალება, წამყვან როლს თამაშობს ყოველივე ზემოთ თქმულის პოზიტიურ ჭრილში განხორციელებაში, საწინაღმდეგო შემთხვევაშ კი შესაძლოა შეაფერხოს, ან სულაც უკან დახიოს საზოგადოებაში გენდერული სტერეოტიპების დამარცხებაში მიღჭეული შედეგები.

სასურველი დანართი – აუდიო ან/და ვიდეო ან/და ბაჭდური ფორმით არსებული მასალა, სადაც ასახულია ის ფაქტები/გარემოებები, რასაც ეფუძნება განცხადება (განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია მითითებულ იქნას მასალის მოპოვების წყარო, მაგ.: ბმული)

გადაცემის ბმული: https://www.youtube.com/watch?v=ftzN8gdRPv8